ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3388861

ნომერი: AR1518260

თარიღი : 28.06.2017

გაცემის თარიღი : 11.07.2017

გაცნობის თარიღი : 11.07.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , ზემო პლატო , კორპუსი 47 , მიმდებარედ ნაკვეთი 06/060/ ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , ზემო პლატო , კორპუსი 47 , მიმდებარედ , ნაკვეთი 06/061 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ლალიაშვილი პ/ნ 01025005491
- პეტრიწის 8 ბ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად ვადის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 28/06/2017 წლის # AR1518260 განცხადებით მომართეს ლაშა ლალიაშვილმა და რევაზ ცირეკიძემ, რომლებმაც

მოითხოვეს სამსახურის 28.11.2016 წლის №2965885 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: დამკვეთად შ.პ.ს. „მწვანე უბნის“ ნაცვლად შ.პ.ს. “ჟორდანიას 21/23“-ის დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 28.11.2016 წლის №2965885 ბრძანებით, დაკმაყოფილდა მოქალაქე ლაშა ლალიაშვილის №AR1457693 (28.11.2016.) განცხადება, გაიცა ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, დასახლება ვარკეთილი, ზემო პლატო, კორპუსი 47, მიმდებარედ ნაკვეთი 06/060/ქალაქი თბილისი, დასახლება ვარკეთილი, ზემო პლატო, კორპუსი 47, მიმდებარედ, ნაკვეთი 06/061, შპს "მწვანე უბანი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.19.20.006.076), შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სპორტული დარბაზით) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 28.11.2016 -დან 28.11.2019-ის ჩათვლით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლები ითხოვენ სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2965885 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილებას და დამკვეთად შ.პ.ს. ,, ჟორდანიას 21/23’’-ის დაფიქსირებას და წარმოდგენილი აქვთ 2016 წლის 16 დეკემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, სადაც გამყიდველად დაფიქსირებულია შ.პ.ს. „მწვანე სახლი“, ხოლო მყიდველად შ.პ.ს. „ჟორდანიას 21/23’’.
საჯარო რეესტრის მონაცემებით დგინდება, რომ N01.19.20.006.076 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე #1 შენობის საერთო ფართით 6343.05 კვ.მ. მათ შორის: საცხოვრებელი ფართი 3395.6 კვ.მ. საზაფხულო ფართი 970.25 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 657.4 კვ.მ. ავტოსადგომის ფართი 36 კვ.მ. და დამხმარე ფართობი 175.65 მესაკუთრეა შპს „მწვანე უბანი“, ID ნომერი:406137988 (განცხადების რეგისტრაციის N882016658458; მომზადების თარიღი: 26.09.2016).
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება 2016 წლის 18 ნოემბრის №2965885 ბრძანების დამკვეთის ველში ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოდგენილ იქნას უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
ზემოაღნიშნული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს განმცხადებლებს, რომ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინონ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 28/06/2017 წლის #AR1518260 განცხადება დარჩეს განუხილველი;
3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.